

საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დანართი N9 - იმეილ ბანკი

1. იმეილ ბანკთან დაკავშირებული სპეციფიკური დეფინიციები:
 - 1.1. SOLO კლიენტი - SOLO ანგარიშთა პაკეტის მფლობელი ფიზიკური პირი;
 - 1.2. SOLO X კლიენტი - SOLO ანგარიშთა პაკეტში შემავალი ერთ-ერთი სახეობის ანგარიშთა პაკეტის, SOLO X ანგარიშთა პაკეტის მფლობელი ფიზიკური პირი;
 - 1.3. WM კლიენტი - პირადი საბანკო საქმიანობის დეპარტამენტის მომსახურებაში მყოფი ფიზიკური პირი.
2. იმეილ ბანკის საშუალებით, კლიენტი (გარდა SOLO X კლიენტისა) უფლებამოსილია განაცხადში დაფიქსირებული ელექტრონული ფოსტის მისამართიდან, განაცხადში მოცემული ბანკის ელექტრონული ფოსტის მისამართზე (დამატებით SOLO კლიენტის შემთხვევაში ელექტრონული ფოსტის მისამართზე: soloemailbanking@bog.ge, ხოლო WM კლიენტის შემთხვევაში, ელექტრონული ფოსტის მისამართზე: WMOperations@bog.ge), ბანკს მისცეს წინამდებარე დანართით განსაზღვრული ოპერაციების შესახებ დავალება. ამასთან:
 - 2.1. დავალება შესაძლებელია გაიცეს წინამდებარე დანართის მე-12 პუნქტით განსაზღვრული წესით, კლიენტის მიერ დავალების დადასტურების გზით;
 - 2.2. SOLO X კლიენტის შემთხვევაში SOLO X კლიენტის მხრიდან დავალების იმეილ ბანკის საშუალებით ინიცირება არ არის შესაძლებელი, შესაბამისად, SOLO X კლიენტის მხრიდან დავალების წინამდებარე დანართის მე-2 პუნქტში მოცემულ ელექტრონული ფოსტის მისამართებზე ინიცირების შემთხვევაში, ბანკი არ მიიღებს ასეთ დავალებას; ხოლო ბანკის მიერ განსაზღვრული კომუნიკაციის საშუალებით (სატელეფონო ან/და სხვა), SOLO X კლიენტთან კომუნიკაციის საფუძველზე მიღებული დავალების შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია იმოქმედოს ამ დანართის მე-12 პუნქტით განსაზღვრული პროცედურით, ამავე დანართის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ ოპერაციებთან მიმართებაში.
3. იმეილ ბანკის საშუალებით კლიენტი უფლებამოსილია მოითხოვოს შემდეგი ოპერაციების შესრულება:
 - 3.1. გადარიცხვები ბანკში გახსნილ ანგარიშ(ებ)ზე ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში (მათ შორის კონვერტაცია);
 - 3.2. მუდმივი საგადახდო დავალების აქტივაცია/დეაქტივაცია;
 - 3.3. ავტომატური გადახდის აქტივაცია/დეაქტივაცია/რედაქტირება;
 - 3.4. კლიენტის ანაბარზე თანხის შეტანა;
 - 3.5. ბარათის პრიორიტეტულობის ცვლილება;
 - 3.6. უნივერსალურ მიმდინარე ანგარიშზე ძირითადი ვალუტის ცვლილება;
 - 3.7. საკრედიტო ბარათზე ჩარიცხვა (მიმდინარე გადასახადის დაფარვა)/საკრედიტო ბარათის ლიმიტის შემცირება;
 - 3.8. სესხის დაფარვა (არაუზრუნველყოფილი და უზრუნველყოფილი, საბლანკო სესხის ძირის შემცირება, წინსწრებით დაფარვა), გრაფიკის ცვლილება, საშეღავათო პერიოდის დაშვება/გაუქმება;
 - 3.9. კრედიტზე გადახდის თარიღის/გრაფიკის ცვლილება;
 - 3.10. საბანკო დოკუმენტაციის (ამონაწერი, გრაფიკი, რეკვიზიტები, swift, სავალუტო გადარიცხვის/ჩარიცხვის მარშრუტის შესახებ ინფორმაცია) მიღება;
 - 3.11. ბარათის (სადებეტო/საკრედიტო) შეკვეთა/განახლება/ახალ ანგარიშზე რეგისტრაცია, ბარათის დაცვის მომსახურების აქტივაცია, ასევე, ბარათის ადგილზე მიტანის სერვისით სარგებლობა გარდა ბანკის მიერ განსაზღვრული ბარათების ტიპებისა.
 - 3.12. სადებოზიტო სერტიფიკატის გახსნა/გამოსყიდვა;
 - 3.13. ანაბრის გახსნა/დახურვა/კონვერტაცია;



- 3.14. **კლიენტის** დაფიქსირება, **ბანკის** სხვა კლიენტის (იურიდიული პირ(ებ)ი ან/და საქართველოს ან სხვა ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნ(ებ)ი, რომელიც/რომლებიც არ წარმოადგენს/წარმოადგენენ იურიდიულ პირ(ებ)ს) წარმომადგენლად;
- 3.15. **ბანკის** მიერ განსაზღვრული კრედიტის (ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად იგულისხმება **ბანკის** მიერ გაცემული/გასაცემი ნებისმიერი სახის/ტიპის კრედიტი, მათ შორის **ოვერდრაფტი**, და ანაბრით/სადეპოზიტო სერტიფიკატით უზრუნველყოფილი სესხი) მოთხოვნა, ხელშეკრულების დადება, მათ შორის კრედიტის ხელშეკრულებებში ნებისმიერი სახის ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა. აგრეთვე, კრედიტით სარგებლობასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ოპერაციის განხორციელება და აღნიშნულთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის გარიგებების (მათ შორის, **განაცხადის**) დადება/გაფორმება.
4. **იმეილ ბანკის** საშუალებით **SOLO კლიენტი** უფლებამოსილია მოითხოვოს შემდეგი **ოპერაციების** შესრულება:
- 4.1. **ბანკის** მიერ განსაზღვრული კრედიტის (ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად იგულისხმება **ბანკის** მიერ გაცემული/გასაცემი ნებისმიერი სახის/ტიპის კრედიტი, მათ შორის **ოვერდრაფტი**, და ანაბრით/სადეპოზიტო სერტიფიკატით უზრუნველყოფილი სესხი) მოთხოვნა, ხელშეკრულების დადება, მათ შორის კრედიტის ხელშეკრულებებში ნებისმიერი სახის ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა. აგრეთვე, კრედიტით სარგებლობასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ოპერაციის განხორციელება და აღნიშნულთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის გარიგებების (მათ შორის, **განაცხადის**) დადება/გაფორმება;
- 4.2. **კრედიტის** (მათ შორის **მესამე პირის კრედიტის**) წინსწრებით (სრულად ან ნაწილობრივ) დაფარვა;
- 4.3. **კრედიტზე** გადახდის თარიღის/**გრაფიკის** ცვლილება;
- 4.4. **საკომისიოს** ჩამოჭრაზე **ანგარიშ(ებ)ის** რიგითობის/პრიორიტეტულობის განსაზღვრა/ცვლილება;
- 4.5. **Priority Pass** ბარათის შეკვეთა/დაბლოკვა/გაუქმება;
- 4.6. **გადარიცხვები ბანკში** გახსნილ **ანგარიშ(ებ)ზე** ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში (მათ შორის **კონვერტაცია**), ასევე **გადარიცხვები** სხვა ბანკ(ებ)ში, **ბანკში** დადგენილი **ლიმიტების** შესაბამისად, ასევე, **კანონმდებლობით** გათვალისწინებული და **ბანკში** დადგენილი წესების შესაბამისად, შესრულებული **გადარიცხვის** კორექტირება/უკან დაბრუნება და **მიმღებისთვის** თანხის ჩარიცხვაზე ინფორმაციის მოძიება;
- 4.7. კომუნალური და სხვა სახის გადასახადების გადახდა (გარდა აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობებისათვის გადახდები, მათ შორის აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობებისათვის ბალანსის ან/და მასთან ასოცირებული ელექტრონული საფულის შევსება);
- 4.8. **საგადახდო დავალების** გაუქმება;
- 4.9. **ინტერნეტ-ბანკის** დეაქტივაცია;
- 4.10. **SMS ბანკის** რედაქტირება (**ფინანსური ნომრის** ცვლილების გარდა)/დეაქტივაცია;
- 4.11. **ბარათის დაცვის მომსახურების** აქტივაცია/დეაქტივაცია;
- 4.12. **ბარათის** (სადებეტო/საკრედიტო) შეკვეთა ან/და განახლება, გარდა **ბანკის** მიერ განსაზღვრული **ბარათების** ტიპებისა; ასევე, დაადასტუროს და დაეთანხმოს ანაბრის გირავნობის ხელშეკრულების პირობებს, რომელიც უზრუნველყოფს საკრედიტო **ბარათს**.
- 4.13. **ბარათის** დაბლოკვა/განბლოკვა;
- 4.14. **ბარათზე პინ კოდის** აღდგენა;
- 4.15. **ბარათის ადგილზე მიტანის მომსახურებით** სარგებლობა;
- 4.16. საბარათე **ანგარიშზე** ძირითადი ვალუტის ცვლილება;
- 4.17. **ანგარიშიდან** ფულადი სახსრების ჩამოჭრის (დადებითი ნაშთ(ებ)იდან ან **ოვერდრაფტ(ებ)იდან**) პრიორიტეტულობის ცვლილება;
- 4.18. საკრედიტო **ბარათზე** დაანგარიშების თარიღის ცვლილება;
- 4.19. საკრედიტო **ბარათის ლიმიტის** ცვლილება (გაზრდა/შემცირება);
- 4.20. **ანგარიშის** გახსნა/დახურვა;



- 4.21. ანაზრის გახსნა/დახურვა, ანაზრზე თანხის დამატება (მათ შორის მესამე პირის ანაზრზე)/პირობების ცვლილება;
- 4.22. სადეპოზიტო სერთიფიკატის გახსნა/გამოსყიდვა (**ბანკში** დადგენილი **ლიმიტების** შესაბამისად);
- 4.23. **ელექტრონული ყულაბის** აქტივაცია/დეაქტივაცია და მასში ცვლილებების შეტანა;
- 4.24. **მუდმივი საგადახდო დავალების** აქტივაცია/რედაქტირება/დეაქტივაცია;
- 4.25. **ავტომატური გადახდის** აქტივაცია/რედაქტირება/დეაქტივაცია;
- 4.26. ურთიერთობის პროგრამა PLUS-ის აქტივაცია/დეაქტივაცია;
- 4.27. დაგროვებითი პროგრამა Membership Reward-ის აქტივაცია/დეაქტივაცია;
- 4.28. Membership Reward ქულების განკარგვა (მათ შორის გაჩუქება);
- 4.29. საკრედიტო შენატანის დაზღვევის აქტივაცია/გაუქმება;
- 4.30. **ანგარიშთა** პაკეტის აქტივაცია/გაუქმება;
- 4.31. **იმეილ ბანკის** გაუქმება;
- 4.32. **3D უსაფრთხოების სერვისის** აქტივაცია/დეაქტივაცია
- 4.33. **SOLO კლიენტის** სარეგისტრაციო მონაცემების (მისამართი, ელ ფოსტა, **ფინანსური ნომერი**) ცვლილება/დამატება;
- 4.34. **განაცხადში** დაფიქსირებული ელ. ფოსტის ცვლილება, ახალი ელ. ფოსტის დამატება/ცვლილება/გაუქმება;
- 4.35. ამონაწერის/საბუთის ასლის მიღება;
- 4.36. ცნობის დამზადება (**ბანკის** მიერ განსაზღვრული ცნობის ტიპების შესაბამისად);
- 4.37. ინდივიდუალური ტარიფების განსაზღვრა;
- 4.38. თანხმობა სოლო ფემილი (SOLO Family) პაკეტის აქტივაცია;
- 4.39. საბავშვო ანაზრის (დეპოზიტის) დარღვევა, **ბანკში** დადგენილი **ლიმიტების** შესაბამისად;
- 4.40. School Card-ის განახლება/გაუქმება;
- 4.41. School Card-ზე განაღდების/გადახდის ლიმიტის ცვლილება;
- 4.42. არასრულწლოვანის **ანგარიშებს** (მათ შორის School Card-ის) შორის თანხის **გადარიცხვა/კონვერტაცია/სხვა ანგარიშებზე** თანხის **გადარიცხვა, ბანკში** დადგენილი **ლიმიტების** შესაბამისად;
- 4.43. იპოთეკის მოხსნის მოთხოვნის **განაცხადის** დადასტურება;
- 4.44. **კანონმდებლობით** გათვალისწინებული და **ბანკში** დადგენილი წესების შესაბამისად, **ფულადი გზავნილის** რედაქტირება/უკან დაბრუნება;
- 4.45. ინდივიდუალური სეიფით სარგებლობის პირობების ცვლილება;
- 4.46. **კლიენტის** დაფიქსირება, **ბანკის** სხვა კლიენტის (იურიდიული პირ(ებ)ი ან/და საქართველოს ან სხვა ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნ(ებ)ი, რომელიც/რომლებიც არ წარმოადგენს/წარმოადგენენ იურიდიულ პირ(ებ)ს) წარმომადგენლად;
- 4.47. **კონვერტაცია BMatch-ის გამოყენებით;**
- 4.48. ოქროს სერთიფიკატის შეძენის, გაყიდვის ან/და განაღდების **განაცხადის** დადასტურება.
5. **იმეილ ბანკის** საშუალებით **WM კლიენტი** უფლებამოსილია მოითხოვოს შემდეგი **ოპერაციების** შესრულება:
- 5.1. **გადარიცხვები ბანკში** გახსნილ **ანგარიშ(ებ)ზე** ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში (მათ შორის **კონვერტაცია**), ასევე **გადარიცხვები** სხვა ბანკ(ებ)ში, **ბანკში** დადგენილი **ლიმიტების** შესაბამისად;
- 5.2. **მუდმივი საგადახდო დავალების** აქტივაცია/დეაქტივაცია;
- 5.3. **ავტომატური გადახდის** აქტივაცია/დეაქტივაცია;
- 5.4. **SMS ბანკის** აქტივაცია/დეაქტივაცია;
- 5.5. **ინტერნეტ-ბანკის** აქტივაცია/დეაქტივაცია;
- 5.6. ანაზრის გახსნა/დახურვა, ანაზრზე თანხის დამატება;
- 5.7. სადეპოზიტო სერთიფიკატის გახსნა/გამოსყიდვა/გახსვისება (**ბანკში** დადგენილი **ლიმიტების** შესაბამისად);
- 5.8. **ელექტრონული ყულაბის** აქტივაცია/დეაქტივაცია და მასში ცვლილებების შეტანა;
- 5.9. Priority Pass ბარათის შეკვეთა/გაუქმება;

- 5.10. ანგარიშის გახსნა/დახურვა;
- 5.11. ბარათის ახალ ანგარიშზე რეგისტრაცია;
- 5.12. ბარათის დაბლოკვა/განბლოკვა;
- 5.13. ბარათის დაზღვევის აქტივაცია/დეაქტივაცია
- 5.14. საბარათე ანგარიშიდან ფულადი სახსრების ჩამოჭრის (დადებითი ნაშთ(ებ)იდან ან ოვერდრაფტ(ებ)იდან) პრიორიტეტულობის ცვლილება;
- 5.15. ანგარიშზე თანხის დაჯავშნა/ჯავშნის მოხსნა;
- 5.16. საბარათე ანგარიშზე ძირითადი ვალუტის ცვლილება;
- 5.17. საკრედიტო ბარათის ლიმიტის ცვლილება (გაზრდა/შემცირება);
- 5.18. საკრედიტო ბარათზე ჩარიცხვა (მიმდინარე გადასახადის დაფარვა);
- 5.19. საკრედიტო ბარათის შეკვეთა;
- 5.20. საკომისიოს ჩამოჭრაზე ანგარიშ(ებ)ის რიგითობის/პრიორიტეტულობის განსაზღვრა/ცვლილება
- 5.21. ინდივიდუალური ტარიფების განსაზღვრა/გაუქმება;
- 5.22. ინდივიდუალური სეიფით სარგებლობის ვადის გაგრძელება;
- 5.23. WM კლიენტის სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილება;
- 5.24. საბანკო დოკუმენტაციის (ამონაწერი, გრაფიკი, რეკვიზიტები, swift, სავალუტო გადარიცხვის/ ჩარიცხვის მარშრუტის შესახებ ინფორმაცია) მიღება;
- 5.25. სესხის დაფარვა (არაუზრუნველყოფილი, საბლანკო სესხის ძირის შემცირება, წინსწრებით დაფარვა), გრაფიკის ცვლილება, გადახდის თარიღის ცვლილება;
- 5.26. იმეილ ბანკის გაუქმება/ცვლილება;
- 5.27. კლიენტის დაფიქსირება, ბანკის სხვა კლიენტის (იურიდიული პირ(ებ)ი ან/და საქართველოს ან სხვა ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნ(ებ)ი, რომელიც/რომლებიც არ წარმოადგენს/წარმოადგენენ იურიდიულ პირ(ებ)ს) წარმომადგენლად.
- 5.28. კონვერტაცია BMatch-ის გამოყენებით.
- 5.29. ბანკის მიერ განსაზღვრული კრედიტის (ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად იგულისხმება ბანკის მიერ გაცემული/გასაცემი ნებისმიერი სახის/ტიპის კრედიტი, მათ შორის ოვერდრაფტი, და ანაბრით/სადეპოზიტო სერტიფიკატით უზრუნველყოფილი სესხი) მოთხოვნა, ხელშეკრულების დადება, მათ შორის კრედიტის ხელშეკრულებებში ნებისმიერი სახის ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა. აგრეთვე, კრედიტით სარგებლობასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ოპერაციის განხორციელება და აღნიშნულთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის გარიგებების (მათ შორის, განაცხადის) დადება/გაფორმება.
- 5.30. დაგროვებითი პროგრამა Membership Rewards-ის დეაქტივაცია;
- 5.31. ოქროს სერტიფიკატის შეძენის, გაყიდვის ან/და განაღდების განაცხადის დადასტურება.
6. ბანკი კლიენტს სთავაზობს იმეილ ბანკით მომსახურებას საბანკო დღის (გარდა ბანკის მიერ დადგენილი გამონაკლის(ებ)ისა) განმავლობაში. აღნიშნული პირობა შეიძლება დაირღვეს, თუ ნებისმიერი მიზეზით დროებით შეფერხებულია ელექტრონულ ფოსტასთან კავშირი.
7. განაცხადში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართიდან განხორციელებული ნებისმიერი კომუნიკაცია ჩაითვლება კლიენტის მხრიდან განხორციელებულ კომუნიკაციად და კლიენტი პასუხისმგებელი იქნება ყველა იმ კომუნიკაციაზე, დავალებაზე რომელიც განხორციელდება აღნიშნული ელექტრონული ფოსტის მისამართიდან.
8. იმეილ ბანკით მომსახურებით თითოეულ ჯერზე სარგებლობისას აუცილებელია კლიენტმა, გაიაროს იდენტიფიკაცია, ბანკში დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად.
9. ბანკის მოთხოვნის შესაბამისად, კლიენტის იდენტიფიკაცია შესაძლებელია განხორციელდეს დიჯიტალურ დაგენერირებული ან კლიენტის ფინანსურ ნომერზე გაგზავნილი ერთჯერადი კოდით ან/და საკონტროლო კითხვებზე კლიენტის მიერ სწორი პასუხის გაცემით ან/და ბანკის მიერ განსაზღვრული სხვა ფორმით.

10. იდენტიფიკაციის წარმატებით გავლის შემდეგ **კლიენტი** პასუხისმგებელია მის მიერ გაცემულ ნებისმიერ **დავალებაზე** იმ შემთხვევაშიც კი როდესაც აღნიშნული **დავალებები** არ იყო გაცემული **კლიენტის** მიერ ან გაცემულია **კლიენტის ავტორიზაციის** გარეშე.
11. **კლიენტი** ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს **ბანკს იმეილ ბანკით** არავტორიზებული სარგებლობის ეჭვის ან რეალური ფაქტების შესახებ ან იმის შესახებ, რომ შესაძლოა **მესამე პირს** ჰქონოდა ან ჰქონდეს გარკვეული წვდომა **განაცხადში** დაფიქსირებულ ელექტრონულ ფოსტასთან.
12. **ბანკი** უფლებამოსილია, **განაცხადში** დაფიქსირებული ელექტრონული ფოსტით **კლიენტის** მიერ **ბანკისთვის** გამოგზავნილი **დავალება** ან/და **ბანკის** მიერ განსაზღვრული კომუნიკაციის საშუალებით (სატელეფონო ან/და სხვა), **კლიენტთან** კომუნიკაციის საფუძველზე მიღებული **დავალება**, გადაიტანოს **ბანკისთვის** სასურველ ფორმაში/ფორმატში (მათ შორის Word, PDF ან/და სხვა), გაუგზავნოს აღნიშნული სახის **დავალება კლიენტს განაცხადში** დაფიქსირებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე და მოითხოვოს **კლიენტის** მიერ **დავლების** დადასტურება ამავე ელექტრონული ფოსტის მეშვეობით საპასუხო შეტყობინების გაგზავნის გზით. ამასთან, **კლიენტმა დავალება** უნდა დაადასტუროს **ბანკის** მიერ ელექტრონული ფოსტის გაგზავნის დღის 18:00 საათამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში **დავალება** გაუქმდება ავტომატურად, **კლიენტისათვის** დამატებითი შეტყობინების გაგზავნის გარეშე. ამასთან:
 - 12.1. **SOLO კლიენტის** (მათ შორის **SOLO X კლიენტის**) შემთხვევაში, **კრედიტზე** გადახდის თარიღის/**გრაფიკის** ცვლილების და საკრედიტო შენატანის დაზღვევის აქტივაციის შესახებ **დავალება კლიენტის** მიერ შეიძლება დადასტურებულ იქნეს **ბანკის** მიერ შესაბამისი შეტყობინების გაგზავნის დღის მომდევნო **საბანკო დღის 18:00** საათამდე;
 - 12.2. **WM კლიენტის** შემთხვევაში, **დავალება** შეიძლება დადასტურებულ იქნეს **ბანკის** მიერ განსაზღვრულ დრომდე.
13. **კონვერტაცია** შესაძლებელია განხორციელდეს **მხარეთა** შორის შეთანხმებული კურსით, რა დროსაც **ბანკის** მიერ ელექტრონულ ფოსტაზე **კლიენტისათვის** შეთავაზებული **კონვერტაციის** კურსი **კლიენტის** მიერ უნდა დადასტურდეს **ბანკის** მიერ **კლიენტისთვის** ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნიდან 5 წუთში, ამასთან, თუ აღნიშნული ვადის განმავლობაში **კლიენტის** მხრიდან არ მოხდა **კონვერტაციის** კურსის დადასტურება ან/და **კონვერტაციის ოპერაციის** შესრულებამდე **ბანკში** არსებულ შესაბამის ვალუტებს შორის გაცვლითმა კურსმა განიცადა ცვლილება, რომლითაც **კლიენტის** მიერ დადასტურებული კურსით **ოპერაცია** ვერ სრულდება ან/და ტექნიკური მიზეზების გამო **კონვერტაცია** ვერ შესრულდა, **ბანკი** უფლებამოსილია არ შეასრულოს **კონვერტაციის ოპერაცია კლიენტის** მიერ დადასტურებული კურსით და **კონვერტაციის** კურსი თავიდან შეათანხმოს **კლიენტთან**.
14. **კლიენტის** მიერ **დავლების** დადასტურებას აქვს მატერიალურ დოკუმენტზე ხელმოწერის ტოლფასი იურიდიული ძალა;
15. **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს უარი განუცხადოს **კლიენტს იმეილ ბანკით** მომსახურებაზე, ყოველგვარი დასაბუთებების გარეშე.
16. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი **ოპერაციის** შესრულებისთვის დადგენილი ვადის დარღვევის შედეგად **კლიენტისთვის** წარმოშობილ ნებისმიერ ზარალზე/ზიანზე ან/და სხვა დამატებით ხარჯებზე, რომელიც გამოწვეულია რაიმე სახის ტექნიკური ან/და მესამე პირების მიერ მომსახურების შეფერხების შედეგად.
17. **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეცვალოს მომსახურების პირობები, მათ შორის, **ოპერაციის** ჩამონათვალი, **ოპერაციის** დადასტურების მეთოდი/ვადა, ან შეზღუდოს ცალკეული ტიპის **ოპერაციების** შესრულება.